

**აკაკი წერეთლის პიესა „მედია“  
(ავტორის კონცეფცია / ანტიკური  
ლიტერატურის რეცეფცია)  
MEDIA (PLAY) BY AKAKI TSERETELI  
(AUTHOR'S CONCEPT / RECEPTION  
OF ANCIENT LITERATURE)**

**თამთა ღონღაძე**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
თბილისი, საქართველო

**Tamta Ghonghadze**

Ivane Javakhishvili Tbilisi State University  
Tbilisi, Georgia

**ABSTRACT**

Akaki Tsereteli started publishing his play ‘Media’ in the magazine ‘Kvali’ (trace) in 1895, and in 1897 published the whole play in his ‘Collected Stories’. In the latter publication, the author attached extended remarks to his work, which contained the author’s opinions of certain issues conveyed in the drama. We learn from the various memories of the author that he had carried out a serious research and creative work in the process of writing ‘Media’. In his play, the author has processed and changed not only the plot of the myth, but also the names of the characters. He assumed that the name ‘Medeia’ was taken from Georgian into the Greek and, in Georgian, it should be ‘Media’ instead.

The drama tells the stories of Colchis’, their headman, the Chalybes, Amiran, Media and her aunt. The play conveys the fictional projection of the author’s concept of the fact that the myth on Prometheus was not originated in Greece, but rather it is a Georgian story of Amiran. Akaki Tsereteli, irrespective of which historical topic he was processing in his work, has never gone beyond the problematic that was topical to his epoch. I think, this is the very reason why the characters from ‘Media’ are sometimes ‘the contemporaries of the author’ and their thinking is not mythical.

If, in the reception of ‘Medea’ by Euripides, the issue of living outside homeland became topical for the world literature only in the 20<sup>th</sup> century, Akaki Tsereteli put an emphasis on Medea, as a protagonist without homeland suffering in foreignness, in the 19<sup>th</sup> century. It was, of course, determined by the historical and political situation in Georgia at that time.

Akaki Tsereteli’s play ‘Media’ is interesting in the writer’s attempt to combine two stories: legends about the Argonauts and Amiran-Prometheus; Through these stories, he showed his concept of Georgian-Greek prehistoric relations and the socio-

political issues of XIX century Georgia. From a comparative literary point of view, important research issues are the receptions of Euripides' Medea and Apollonius Rhodius Argonautica by Akaki Tsereteli.

**საკვანძო სიტყვები:** ქართული ლიტერატურა, აკაკი წერეთელი, მედია, არგონავტები, ამირანი, პრომეთე, ევრიპიდე.

**Keywords:** Georgian literature, Akaki Tsereteli, Medea, Argonauts, Amirani, Prometheus, Euripides.

აკაკი წერეთელმა პიესა „მედიას“ ბეჭდვა დაიწყო ჟურნალ „კვალში“ 1895 წელს, 1897 წელს კი სრული სახით გამოსცა თავის „კრებულში“. აქ მწერალმა ნაწარმოებს ვრცელი შენიშვნებიც დაურთო, რომელშიც ავტორი მკითხველს საკუთარ გეგმასაც აცნობს: „ჩვენ გადაწყვეტილი გვაქვს „მედიას“ ტრილოგიით დაწერა... „მედია კოლხიდაში“, „მედია ელლადაში“ და „მედია სამშობლოში დაბრუნებული“ (წერეთელი 1897: 109). სამწუხაროდ, მწერალმა ტრილოგიის მხოლოდ პირველი ნაწილი დაასრულა. შალვა დადიანი იგონებს, რომ აკაკი პიესაზე მუშაობისას თავის მამას, როგორც ქართულის და ძველ გადმოცემათა კარგად მცოდნეს, ეკითხებოდა ხოლმე სხვადასხვა სიტყვის მნიშვნელობებს და ამბების ვარიანტებს. ორივე იმ აზრის ყოფილან, რომ მედია ქართულიდან არის გაბერძნულებული, ხოლო ქართულად მედია უნდა ყოფილიყო. „აკაკიმ პირველად ეს პიესა მამას რომ წაუკითხა, პროზად იყო დაწერილი და, კარგად მახსოვს, შემდეგ ეს პროზა სიტყვასიტყვით იყო გალექსილი“ (წერეთელი 1989: 476). თავად აკაკი ივანე მაჩაბლისადმი მიწერილ ერთ კერძო წერილში იხსენებს: „ოთხი წელიწადი მეტი მარტო მასალების შეკრებასა და მოგროვებას მოვუწიდი“ (წერეთელი 1926: 127). ამ მოგონებებიდან ჩანს, რამხელა მოკვლევითი და შემოქმედებითი შრომა გაუწევია მწერალს „მედიაზე“ მუშაობისას. მანანა ფხაკაძე სტატიაში „აკაკი წერეთლის „მედია“ გამოთქვავს მოსაზრებას, რომ აკაკი პიესის წყაროდ იყენებს „ორფიკულ არგონავტიკას“ და აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკას“. სხვა ბერძენი ავტორების მონაცემები კი ლატიშევის კრებულიდან უნდა აეღო, რომელიც 1893 წელს გამოსულა. ამ კრებულის გამოყენებას მეცნიერს რუსული ფორმით მოყვანილი სახელები აფიქრებინებს: ესხილი, პინდარი, აპოლონ როდოსელი, კლავდი კლავდიანი. ასევე, ის ფაქტი, რომ ლატიშევის მიერ მოყვანილი ბერძენი მწერლების თარიღები, რომლებიც არ ემთხვევა სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრებულ თარიღებს, აკაკისთანაც მეორდება (ფხაკაძე 2015).

ავტორს თავის პიესაში გადაუმუშავებია და შეუცვლია არა მხოლოდ მითის სიუჟეტი, არამედ გმირების სახელებიც. თქმულებაში კოლხეთის მეფეს თუ აიეტი ჰქვია, დრამაში მას იათა ეწოდება. მედეას - მედია, ხოლო კირკეს - თირთა.

დრამაში ავტორმა მნიშვნელოვანი მხატვრული ფუნქცია დააკისრა ბუნებას. იგი მკითხველს წარმოუდგება როგორც წინათმგრძნობი და

მოსალოდნელი უბედურების მაუწყებელი. ნაწარმოებში ასევე ნაჩვენებია გმირების მსოფლმხედველობის კავშირი და მიჯაჭვულობა ბუნების მოვლენებთან, რითაც ავტორი ცდილობს წარმართული ხანის ადამიანის აზროვნება მხატვრულად უჩვენოს მკითხველს თუ მაყურებელს. პირველი მოქმედების სიუჟეტური ხაზი სწორედ ამ თემით ვითარდება: გაზაფხულის ბუნიაობაა. მძიმე ღამის შემდეგ, როდესაც მთა და ბარი ირყეოდა, ძიძა სალოცავად არის გამოსული და მზეს ევედრება გათენებას: „ო, მზეო!.. მზეო!.. მაღალთა შინა... / წინამორბედი შენი ვარსკვლავი / გამოგვიგზავნე!.. ისწრაფე მალე“ (წერეთელი 1989: 399). შემოდის თირთა, კოლხეთის მამასახლისის და. მისი თქმით, ბუნიაობის დროს მიწისძვრა და ზღვის ღელვა ჩვეულებრივი მოვლენაა, რადგან დღე და ღამე ერთმანეთს გაუსწორდა და არც ერთს არ სურს დაკლება, საზღვარს მოცილება. თუმცა იმ ღამეს კი მეტისმეტი ყოფილა. ბუნების უჩვეულო სურათით შეშინებულია ხალხიც და სალოცავისკენ მიემართება.

დრამაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეპიზოდია მედიას და იაზონის შეხვედრა. ბერძენი გმირი მეორე მოქმედებაში უკვე კოლხეთშია. იგი გაცეხულია იქაური სილამაზით. ამ დროს ციდან ორბი ჩამოვარდება, გულში ორი ისრით დაჭრილი და დაეცემა იაზონის ფეხებთან. ტყიდან გამოდიან მედია და ძუძუდა, მათ მიერ მონადირებული ორბის წასაღებად. „იაზონს რომ დაინახავენ, მედია შეჩერდება. იაზონიც შეკრთება და ორივე ერთმანეთს შესჩერებიან გაქვავებულებივით“ (წერეთელი 1989: 410). ძუძუდა მივა, ორბს აიღებს და მედიას გაიყოლებს ისევ ტყეში. მწერალმა პირველ მოქმედებაში მედიას სიზმარში დაგვიხატა ქალის და ელინი გმირის შეხვედრა: „მისმა დანახვამ მე თვალი მომჭრა / და დამებეჭდა გულის ფიცარზე!.. / თავბრუ დამეხვა... რომ წავბარბაცდი, / იქვე სიჩქარით მივეყრდენ კარზე... / ... მაგრამ მე ვიდექ ისე უძრავად, / თითქოს ზედ თავზე მწოლოდეს ლოდი... / სად, ან ვინ ვიყავ, — აღარ ვიცოდი!..“ (წერეთელი 1989: 404). როგორც ვხედავთ, არსობრივად ერთნაირია მედიასა და იაზონის შეხვედრა, როგორც სიზმრის ნარატივში, ისევე დრამის სიუჟეტურ ხაზში. ამ ეპიზოდისთვის იმპულსის მიმცემი შესაძლოა ის ფაქტი გახდეს, რომ, მითის მიხედვით, მედეა ეროსმა თავისი ისრით დაჭრა იასონის დანახვისას. ამ ეპიზოდს აპოლონიოს როდოსელიც ახსენებს „არგონავტიკაში“ და ევრიპიდეც თავის ტრაგედიაში. საინტერესოა რომ, იტალიელი კინორეჟისორი პიერ პაოლო პაზოლინი თავის ფილმში „მედია“ (1969) კოლხი ასულისა და იასონის შეხვედრისას იყენებს იმავე მოტივს, რასაც აკაკი წერეთელი: მედეა ცუდად გახდება, ცნობა წაერთმევა, როდესაც ელინს პირველად შეხედავს, გონზე მოსული კი უკვე შეყვარებულია და მისთვის ოქროს საწმისს იპარავს. მეორე მხრივ, აკაკი წერეთლის დრამის ზემოთ აღნიშნული ეპიზოდი შესაძლოა ნასაზრდოები იყოს „ვეფხისტყაოსანში“ ტარიელის გამიჯნურების ეპიზოდითაც: „ასმათ ფარდაგსა აზიდნა, გარე ვდეგ მოფარდაგულსა; / ქალსა შევხედე, ლახვარი მეცა ცნობასა და გულსა. / ... / დავეცი, დავბნდი, წამიხდა ძალი მხართა და მკლავისა“ (რუსთაველი 2010:

101). ამგვარად, მკითხველი ორჯერ ადევნებს თვალს გმირების „პირველ შეხვედრას“. ამ გზით აკაკი მედიას მიერ იაზონის შეყვარების ეპიზოდის ინტენსიფიკაციასაც ახდენს, რაც ძალიან მნიშვნელოვანია. როგორც ვიცით, სწორედ ეს სიყვარული ხდება შემდეგ მედიას გადაწყვეტილების მიზეზი - მოატყუოს თავისი ოჯახი და მიატოვოს სამშობლო.

იაზონს სურს შეიტყოს იქაური ამბები. ამ მიზნით მიაშურებს ერთ გამოქვაბულს, სადაც შეხვდება მჭედელს. იგი უამბობს ბერძენ გმირს კოლხეთის შესახებ. სწორედ მისი მონათხრობიდან იგებს მკითხველიც ძირითად ამბებს, რომლებიც უძღვის უშუალოდ პიესაში ასახულ მოქმედებებს და ინფორმაციას ხალიბების, ამირანის, კოლხეთის, მისი მამასახლისის, მედიას და თირთას შესახებ.

„მედიას“ გმირები არაერთხელ ახსენებენ ამირანს. ნაწარმოებში ჩვენ ვხედავთ, რომ მწერალმა ამ მითოლოგიური გმირის სახე-ხატით განმსჭვალა პერსონაჟების ცნობიერება და ცხოვრება. ყველაზე ვრცლად ამირანის ამბავი მჭედლის ნარატივში იშლება. იაზონს იგი დაუტყვევებია ამირანის დღეს, როდესაც არ შეეძლო ხმის ამოღება და ხელის ხმარება. ელინს კლდეზე მიჯაჭვული გმირის შესახებ არაფერი სმენია, ამიტომ მჭედელი მოუთხრობს მის ამბავს. იაზონი გაკვირვებულია ნაამბობით, მას მანამდე მსგავსი არაფერი სმენია - „გეტყობა მეტად შორეული ხარ, რომ ამირანზე არა იცი რა“ (წერეთელი 1989: 413), - ეუბნება მას ქლიბი. ამ ეპიზოდში ჩვენ ვხედავთ ავტორის კონცეფციის მხატვრულ პროექციას იმის შესახებ, რომ მითი პრომეთეზე საბერძნეთში არ დაბადებულა, იგი არის საქართველოდან წაღებული ამბავი ამირანის შესახებ.

მეორე მოქმედების ბოლოს მარტო დარჩენილი იაზონი ფიქრობს მათზე, ვინც სიცოცხლე შესწირა მედიასთვის ბრძოლას და ვისი თავებიც ახლა ქალაქ იათაში სარეზუა ჩამოცმული. გმირს ეჭვი ეპარება საკუთარ ძალაში: „არა! არ შევნივს გმირს აჩქარება... ვერ გავიმეტებ ვერც ხორცს და ვერც სულს!“ (წერეთელი 1989: 418). ამ ეპიზოდში დახატული იაზონის ხასიათი ძალიან ჰგავს „არგონავტიკაში“ წარმოდგენილ იასონს, რომელიც ასევე დაეჭვებულია და კრიტიკულად უყურებს საკუთარ გმირულ ძალებს: „...დიდხანს ფიქრობდა შეჭირვებული ხან რას და ხან რას, მაგრამ თანხმობის / მიცემას მაინც ვერა ბედავდა, რადგან დამლუპველ საქმედ მიაჩნდა“ (როდოსელი 1975: 128).

აკაკი წერეთელი ცდილობს აღადგინოს დრამაში მითოლოგიური დრო, თუმცა მისი პერსონაჟები არ აზროვნებენ მითოსურად. ამასთან დაკავშირებით გერონტი ქიქოძე შენიშნავს, რომ პიესაში ხალხი მზეს ლოცულობს, ჰყონდიდად წოდებულ მუხას სცემს თაყვანს, წარმართულ ჰიმნებს „მზეშინას“ და „ოდილას“ გალობს, კაბდელები ცის ბურჯებს აკვირდებიან, ადამიანებს სწირავენ ბომონზე მსხვერპლად, „მაგრამ დრამაში ფხიზელი თანამედროვე სული იჭრება და ეს არღვევს ნაწარმოების სტილს. აკაკი წერეთლის იაზონი სკეპტიკურად და კრიტიკულად მოაზროვნე პიროვნებაა, ის რელიგიასა და მის მსახურებზე ისეთი ენით ლაპარაკობს,

თითქოს ევროპელი განმანათლებლების და რუსი ნილილისტების სკოლა ჰქონდეს გავლილი“ (ქიქოძე 1947: 169). აკაკი წერეთელი, რომელ ისტორიულ თემასაც არ უნდა ამუშავებდეს თავის ნაწარმოებებში, სათქმელით არასდროს სცდება მისი ეპოქისთვის საჭირობოროტო პრობლემატიკას. ვფიქრობ, სწორედ ესაა მიზეზი, რომ „მედიას“ პერსონაჟები „ავტორის თანამედროვეები“ არიან. მედიასთან დაკავშირებით კი გერონტი ქიქოძე აღნიშნავს, რომ იგი „გულუბრყვილო ცქრიალა გოგონაა, დანდობილი და თავქარიანი, ის უფრო ახლოს სდგას აპოლონ როდოსელის, ვიდრე ევრიპიდეს მედიასთან. ლეგენდის მიხედვით, მოსალოდნელი იყო, რომ პატრიოტული გრძნობის და სქესობრივი სიყვარულის დაპირისპირება აკაკის მედიას სულში ღრმა ტრაგიკულ კონფლიქტს გამოიწვევდა. ეს არ ხდება. მის გულს ადვილად ატყვევებს იაზონი, ...სინდისის უქნჯვნილად ეთხოვება მის მიერ უგუნურად განწირულ სამშობლოს“ (ქიქოძე 1947: 169).

გერონტი ქიქოძისგან განსხვავებულად ხედავს აკაკის მედიას მანანა ფხაკაძე: „აფროდიტესა და არტემისის მსგავსს მედიას უჭირს სამშობლოს დატოვება, მაგრამ სიყვარული მის გონიერებაზე უფრო ძლიერია: ...აკაკიმ ყველა შემდეგდროინდელ მწერალზე უკეთ გაიგო ევრიპიდეს მედიას სახის პარადიგმატულობის არსი, ანუ როგორც დასაწყისში აღვნიშნეთ, ემოციისა და რაციოს ჭიდილი და ემოციის დაუძლეველი ძალა“ (ფხაკაძე 2015: 243). ვფიქრობ, აკაკი წერეთლის პიესის არც ერთ ეპიზოდში არ არის გადმოცემული მედიას პიროვნებაში ემოციასა და გონებას შორის მიმდინარე ჭიდილი; გმირის არჩევანში მცირეოდენი დაეჭვება ან სინდისის ქნჯნაჲ კი არაა ნაჩვენები. ამ ნიშნით, გერონტი ქიქოძე ამ პერსონაჟს აპოლონიოს როდოსელის მედიასთან აახლოებს, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ „არგონავტიკაში“ კოლხი ასული საშინელ ღამეს გაატარებს, სანამ ოჯახისა და სამშობლოს დალატს გადაწყვეტს; მისი პიროვნება იმდენად იხლიჩება გონებასა და გრძნობას შორის, რომ თვითმკვლელობასაც კი დააპირებს: „განა იქნება ქვეყნად სირცხვილი, ამ ჩემს სირცხვილზე მძიმე და მწველი? / ვაი, რა მწარე ბედი მქონია! ათასჯერ მიჯობს აქვე, ამ ღამეს, / ამ ჩემს ოთახში მოვისპო თვითონ სიცოცხლე“ (როდოსელი 1975: 138). ასევე, ევრიპიდეს მედეაც დაეჭვებულია თავის გადაწყვეტილებაში - დახოცოს საკუთარი შვილები. იგი გადაიფიქრებს კიდევ, მაგრამ ისევ უბრუნდება და ასრულებს თავის განზრახვას. ამ ნიშნით აკაკის გმირი არ ავლენს მსგავსებას არც აპოლონიოს როდოსელის და არც ევრიპიდეს მიერ შექმნილ მედიას ხასიათებთან.

აკაკი წერეთლის, როგორც სამოციანელთა ერთ-ერთი მთავარი წარმომადგენლის, შემოქმედების ძირითადი იდეა პატრიოტულია. ფაქტი, რომ ნაწარმოები ეხება კოლხეთის და იბერიის წარსულ დიდებას, თავისთავად დადებითად იმოქმედებდა ქართველების ეროვნული თვითშეგნების ამაღლებაზე. პიესაში არაერთგზის არის ნაჩვენები კოლხების მატერიალური თუ ინტელექტუალური სიმდიდრე. ასევე, აკაკი ერთმანეთს უპირისპირებს საბერძნეთს, როგორც აგრესორ ქვეყანას და



კოლხეთს, რითაც მკითხველს, რაღა თქმა უნდა, რუსეთ-საქართველოს დაპირისპირება-შედარებას მოაგონებს. ეს ტენდენცია ყველაზე ნათლად იკვეთება მეოთხე მოქმედების დასასრულს, კოლხეთის მეფის სიტყვაში: „განთქმული არის ქვეყნად ბერძნების / გაუტანლობა, უმადურობა... / სხვა ქვეყნის ერის არად ჩაგდება / და თავის ტომით მედიდურობა! / სადაც ვერ ნახვენ მათ ქვეყნისებურ / რიგს ცხოვრებისას, წეს-წყობილებას, / ის ერი ერად არ მიაჩნიათ, / ვერ გრძნობენ მათთან კმაყოფილებას!“ (წერეთელი 1989: 444); „გარწმუნებ, მხოლოდ გვარტომობაა / თავდები ქვეყნად ბედნიერების, / ჭირის და ლხინის მარად საერთოდ / შეთანხმების... შეთანასწორების“ (წერეთელი 1989: 446). ერების შეკავშირება-გაერთიანების პრობლემა XIX საუკუნის საქართველოში ერთ-ერთი მწვავე ისტორიულ-პოლიტიკური საკითხი იყო. როგორც დავინახეთ, იგივე პრობლემა გააშუქა აკაკიმ არგონავტების მითის ფონზე და გვიჩვენა საკუთარი კონცეფცია.

იათას მეორე მიზეზიც აქვს, თუ რატომ არის მედიას და იაზონის შეუღლების წინააღმდეგი; ეს არის ქალის განსხვავებული მდგომარეობა კოლხეთსა და საბერძნეთში. მეფე თითქოს წინასწარ ხედავს თავისი ასულის მომავალ განსაცდელს უცხო ქვეყანაში: „იმათი ქალი პირად მონებას / ქმრისას ჯერეთაც ვერ ასცდენია: / კარდაკეტილში ზის, ართავს და ქსოვს... / უმნიშვნელოა, ქვეყნის რცხვენი! / კოლხეთის ქალი ქვეყნის შვილია / ქვეყნის ავ-კარგში მონაწილობით, / რჯულითაც სხვაა, ჩვეულებითაც, / შეუფერები ბერძნის ზრდილობით!“ (წერეთელი 1989: 445). აკაკი წერეთელმა თავის დრამაში კოლხი ქალის განსაკუთრებული მნიშვნელობა იმითაც გვიჩვენა, რომ კოლხეთის უძლიერეს მებრძოლად, ვის დამარცხებასაც ვერავინ ახერხებდა, ქალი წარმოგვიდგინა.

რისმაგ გორდეზიანი თავის წერილში - „მედეას სახის უნივერსალურობისათვის ევრიპიდესთან“, ჩამოთვლის ყველა იმ ძირითად თავისებურებას, რომლებიც განსაზღვრავენ ბერძენი ტრაგიკოსის მიერ შექმნილ მედეას ხასიათს და რომლებიც „იმდენად უნივერსალურნი არიან, რომ „მედეას“ რეციპირების ყველა მსურველს შესაძლებლობას აძლევენ საკუთარი ნაწარმოების მაგისტრალურ ხაზად მის ეპოქაში არსებული აქტუალური პრობლემატიკის შესაბამისად ერთ-ერთი მათგანი აქციონ“ (გორდეზიანი 2018: 50). ერთ-ერთ ასეთ მახასიათებლად მეცნიერი გამოყოფს იმას, რომ მედეა სამშობლოს გარეშეა დარჩენილი. ეს ფაქტი კიდევ უფრო აუტანელს ხდის ქალის ტანჯვას და ამაზე რამდენიმეჯერ კეთდება აქცენტი ტრაგედიაში: „ჩემო სამშობლო, ჩემო სახლო, / გთხოვთ, ნუ გამწირავთ, რომ უთვისტომომ / მიუსაფარმა და უმწეომ / უმოწყალოდ განველიო დღენი. / სიკვდილით, დიახ, მხოლოდ სიკვდილით / დაე, დასრულდეს ჩემი სიცოცხლე, / რადგან არ არის სხვა განსაცდელი / უსამშობლოო ტანჯვაზე მძიმე“ (ევრიპიდე 2017: 85). რისმაგ გორდეზიანი ზემოთ ხსენებულ სტატიაში აანალიზებს, თუ ეპოქათა ცვლილების პარალელურად „მედეას“ რეციპირებისას მისი ხასიათის რომელ თავისებურებას ირჩევდნენ ხელოვანნი წამყვან მოტივად: „თანამედროვე

ეპოქაში შეინიშნება ევრიპიდესთან აქცენტირებული ზოგიერთი სხვა შტრიხის აქტუალიზაცია. უპირველეს ყოვლისა, ეს ეხება დევნილობის, უცხოობის პრობლემას. სავსებით გასაგებია, რომ XX საუკუნეში, რომელმაც ორი მსოფლიო ომი გადაიტანა და ხალხთა მასობრივი გადაადგილების საფუძველი შექმნა, არაერთგზის მოხდა ამ მოტივის ინტენსიფიკაცია ევრიპიდეს „მედეას“ რეციპირებისას“ (გორდეზიანი 2018: 56). ვფიქრობ, აკაკი წერეთლის დრამაში ბერძენი ტრაგიკოსის გავლენა განსაკუთრებით საგრძნობია სწორედ ზემოთ აღნიშნული მოტივის გაშლისას. იათას სიტყვაში იმთავითვე იხატება, როგორი მარტოობა, უიმედობა და დევნილობა ელის მედიას, თუკი იაზონს გაყვება ცოლად; კოლხეთის მამასახლისი თითქოს ევრიპიდეს მიერ თავის ტრაგედიაში დადგმულ სცენას ხედავს: „წარმოიდგინე, რა დღე მოელის / იქ ჩვენს მედიას, ცოცხალ-ცქრიალას? / ეგ ვერ აიტანს ბერძნის ქალობას, / ვერ დაიჩაგრავს სულ-ხორცის ძალას... / აღარ ექნება წამს მოსვენება, / იმ უცხოეთში ათვალწუნებულს, / და, თავისიანს რომ ვეღარ ნახავს, / ვიღას მიანდობს სანუგეშოდ გულს?“ (წერეთელი 1989: 445).

მსოფლიო ლიტერატურისთვის ევრიპიდეს „მედეას“ რეციპირებისას თუ უსამშობლოდ ცხოვრების თემა XX საუკუნეში გახდა აქტუალური, აკაკი წერეთელმა ჯერ კიდევ XIX საუკუნეში გააკეთა აქცენტი მედეას, როგორც უცხოობაში გატანჯულ უსამშობლო გმირზე. ეს განსაზღვრა, რა თქმა უნდა, საქართველოს იმჟამინდელმა ისტორიულ-პოლიტიკურმა მდგომარეობამ. „მედიაში“ აკაკიმ, ასევე, გვიჩვენა უცხო კულტურით მოხიზვლის და სამშობლოს ღალატის მაგალითი. იასირი, მამასახლისის ვაჟი, იმდენადაა გატაცებული ბერძნებით და მათი კულტურით (ორფეოსის საკრავით), რომ იაზონს კოლხეთის ყველა საიდუმლოს გაანდობს, რათა მან გაიმარჯვოს და გამარჯვებულმა მედიასთან ერთად ისიც თან წაიყვანოს საბერძნეთში. ბერძნები ივიწყებენ იასირის მიერ მათთვის გაწეულ სამსახურს და მას მსხვერპლად სწირავენ. ნაწარმოების ტრაგიკული დასასრული ადვილად მიახვედრებს მკითხველს ამგვარი ქართველების მიმართ ავტორის კრიტიკულ დამოკიდებულებაზე. აკაკი წერეთლის პიესა „მედია“ საინტერესოა მწერლის მცდელობით გაეერთიანებინა ორი ამბავი: თქმულებები არგონავტიკის და ამირან-პრომეთეს შესახებ; ამ სიუჟეტების გაშლით ეჩვენებინა საკუთარი კონცეფცია ქართულ-ბერძნულ პრეისტორიულ ურთიერთობაზე და XIX საუკუნის მწვავე სოციალურ-პოლიტიკურ საკითხებზე. შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობითი თვალსაზრისით კი ყველაზე მეტად საინტერესოა ევრიპიდეს „მედეას“ და აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკის“ რეცეფცია აკაკი წერეთლის პიესაში.

**გამოყენებული ლიტერატურა**

- გორდეზიანი 2018:** გორდეზიანი რ., მედეას სახის უნივერსალურობისათვის ევრიპიდესთან. ჟურნალი „ლოგოსი“ / წელიწდეული ელინოლოგიასა და ლათინისტიკაში, №4. თბილისი, 2018. <http://logos.tsu.ge/?cat=nomer&leng=ge>
- ევრიპიდე 2017:** ევრიპიდე, მედეა. თბილისი, 2017.
- როდოსელი 1975:** როდოსელი აპ., არგონავტიკა. თბილისი, 1975.
- რუსთაველი 2010:** რუსთაველი შ., ვეფხისტყაოსანი. თბილისი, 2010.
- ფხაკაძე 2015:** ფხაკაძე მ., აკაკი წერეთლის „მედია“. IX საერთაშორისო სიმპოზიუმი „ლიტერატურათმცოდნეობის თანამედროვე პრობლემები / ტრადიცია და თანამედროვე მწერლობა“, ნაწილი II. თბილისი, 2015.
- ქიქოძე 1947:** ქიქოძე გ., ქართული ლიტერატურის ისტორია (მე-19 საუკუნე). თბილისი, 1947.
- წერეთელი 1897:** წერეთელი აკ., ჟურნალი „აკაკის თვითი კრებული“, №2. ტფილისი, 1897.
- წერეთელი 1926:** წერეთელი აკ., ჟურნალი „ქართული მწერლობა“, №2-3. თბილისი,, 1926.
- წერეთელი 1989:** წერეთელი აკ., რჩეული ნაწარმოებები ხუთ ტომად, ტ. II. თბილისი, 1989.